პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 103 | კვირა, 5 ივნისი 1927 წ. | № 103



ჩემბერლენი (თავის მდივანს): არაფერი არ მესმის,—რა ხმაურობა არის თუ იცი?
მდივანი: ხალხი მოითხოვს თქვენს გადადგომას!
ჩემბერლენი: არ მესმის!
მდივანი: არ გესმით?! ნუ სწუხდებით, მალე გაი-გებთ!

# „ტარტაროზი“-ს ნოტა ჩემბერლენს

სერ! მისი უდიდებულესობის—ტარტაროზის სახელით ნება მომეცით გიძღვნათ გულწრფელი, ენერგიული ნოტა და პროტესტი იმ საჯაყ საქციელისთვის, რომელსაც ადგილი ქონდა თქვენი უმდაბლესობის მთავრობის სანქციით და დასტურით ამა წლის მაისში არკოს ლიმიტედში და საბჭოთა სავაჭრო შენობაში ქ. ლონდონსა შინა, რომელსაც ამ ჟამად ფლობენ თქვენი—შუბლმაგარნი კონსერვატორნი.

რაღა დაგიმალოთ, რომ მისი უბრწყინვალესობა ტარტაროზი და ჩვენ, ხელქვეითნი მისნი გულგრილად ვერ შევეგებებით თქვენ მიერ ასეთ, უკაცრაოდ პასუხია, ისტორიულ გამოსვლას... ის კი არა, ჩვენ კინაღამ გამოუშვით სპეციალური ნომერი თქვენს შესახებ, მაგრამ გამოგიტყდებით და პირში გეტყვით, რომ თქვენ არ ხართ ღირსი სპეციალური ნომერი შემოგწიროთ.

იმ ჩხირკედლობის უშედეგობა, რომელსაც თქვენ მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებთ „ტარტაროზის“ რედაქციის მიმართ, აშკარა დამამტკიცებელია იმისი, რომ ვერც ხიკსი, ვერც ბოლდუინი, ვერც ბირკენხედი და ვერც თვით მაკდონალდი ვერ შესძლებენ ჩამოგრეცხონ და თითონაც ჩამოირეცხონ ის ლაფი, რომელიც თქვენ თითონ დაისხით შუბლმაგარ თავზე.

მისი უგანათლებულესობის „ტარტაროზის“ რედაქციას აღარ შეუძლია მეტის მოთმენა და მოგიწოდებთ შეაჩეროთ ეს ტრიუკებიანი კომედია, რადგანაც ტრიუკი ხშირად სამწუხარო შედეგებს იძლევა, როგორც რეჟისორისთვის, ისევე სურათში მონაწილეთათვის.

მე დავალებული მაქვს გადმოგცეთ, რომ თქვენი მიზანი—ომის ატეხა არ შეიძლება იქნას განხორციელებული შემდეგი მიზეზებისა გამო:

ა) ინგლისის მუშათა კლასს, რომელიც ჯერ კიდევ იძულებულია მოითმინოს თქვენი არსებობა, არავითარ შემთხვევაში არ სურს ომი საერთოდ და კერძოთ ჩვენთან.

ბ) ევროპის და ამერიკის მუშათა კლასი, რომელიც თქვენ გინდათ ჩაითრიოთ ხელახალ ომში, არავითარ შემთხვევაში არ მოინდომებს იარაღის ხელში აღებას.

გ) ყველა დაჩაგრული ერები, რომელთაც კიდევ ჩაგრავთ თქვენ და თქვენი ძმები, აღსდგებიან თქვენს წინააღმდეგ.

დ) საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ სურს ომი, რადგანაც სისხლის ღვრას მას ურჩევნია ოფლის ღვრა ქვეყნის აშენებლობისთვისთვის.

ე) თვით „ტარტაროზი“-ს რედაქციას არ სურს ომი, რადგან ჟურნალის გამოცემა შეფერხდება და ტარტაროზი იძულებული იქნება ხარბაზანი აიღოს ხელში..

მიუხედავათ ამისა, თუ მაინც არ დაწყნარდით და ისევ შეგიჯდათ ბზიკი ომის დასაწყებათ, იცოდეთ შემდეგი:

ა) ჩვენი კავშირის მშრომელი ხალხი მზად არის საქმროების დროს მახვილი აიღოს და თქვენისთანა ლიპიანებს „ჩუმპუში“ ჩასცეს;

ბ) ინგლისის და მთელი ქვეყნის მუშათა კლასი ჩვენთან იქნება თქვენს წინააღმდეგ;

გ) ჩაგრული ერები კიდევ აღიმაღლებენ ხმას და უფრო ადვილად შესძლებენ თქვენი ბრჭყალებიდან განთავისუფლებას..

დ) მისი უდიდებულესობა „ტარტაროზი“ გარწმუნებთ, რომ თუ მაინცა და მაინც არ დაიშალეთ და ომი დაიწყეთ, ამას მოყვება თქვენ რომ გიყვართ იმ წყობილების დამხობა მთელ ქვეყანაზე.

მე დავალებული მაქვს შეგატყობინოთ, რომ თქვენი თავხედური ქცევა აავსებს იმ მოთმინების ყანწს, რომლიდანაც გადმოინთხევა თქვენი გამანადგურებელი ნივთიერება.

ამასთანავე, მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ამ წერილის დაწერით გამოწვეული ზარალი, რომელიც რედაქციას მიადგა ჰონორარის სახით, გეკისრებათ თქვენ, და თქვენვე უნდა გადაიხადოთ ქაღალდის, აწყობის, კორექტურის და ექსპედიციის ხარჯებიც.

ამას შემდეგ თუ არ მოჭკვიანდებით, მე ვიცი თქვენი...

ჰმ! ერთი ამას დამიხედეთ, რაებს მიჭარავენ!

მიუხედავათ ამისა, მიიღეთ ჩემგან ბატონო მინისტრო და სხ.

ალლარ-სალლარსან.

## „პასუხი“ შეკითხვეზე




## თეთრი წიგნი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ზ ა დ ე ბ ა




— რას ყიდულობ, კაცო?
— საზამთრო პალტო მინდა ვიყიდო!
—ვახ! რადროს საზამთრო პალტოს ყიდვაა ამ ზაფხულში!?
— მინამ რიგი მომიწევდეს, უკვე ზამთარიც დადგება...

# ს ა მ ნ ი

„დასცხევაის“ სტილით მორთულ ოთახში ისეთი სიწყნარეა, როგორც საფლავში, და ოთახში მყოფნიც თითქოს საფლავში გრძნობენ თავს.

სამივენი სდუმან.

რაზედ ფიქრობენ ისინი ამ გაზაფხულის მშვენიერ ღამეს კარებ და ფანჯრებ ჩაკეტილ ოთახში, რომელ მხარეს დაქრის მათი იცნება?

ყველაზე უარესად გრძნობს თავს სერ ოსტინ ჩემბერლენი.

ყველაზედ უკეთესად პოლიციის უფროსი.

ხიკსმა კი არ იცის რა ქნას, იტიროს თუ იცინოს. როცა პოლიციის უფროსს გადახედავს, მისი სახე სავსეა მტკიცე გადაწყვეტილებებით და მისი თვალები სასოებით ჩერდებიან პოლიციის უფროსის წინ დადებულ გაჩხრეკის ორდერების წიგნაკზე.

— აი, სად არის ხსნა ყოველ უბედურებისაგან,— ფიქრობს მაშინ ხიკსი და კმაყოფილებით გადახედავს ოსტინს, მაგრამ ოსტინის სახე მწუხარეა.

— მიუხედავათ იმისა, რომ კავშირის გაწყვეტა აუცილებელია, მე მაინც გამოვთქვამ მწუხარებას.—ამბობს ოსტინი.

კარებ და ფანჯრებ ჩაკეტილ ოთახში ჰაერი კიდევ უფრო იხუთება.

პოლიციის უფროსის ცივი სისხლისათვის სახარას უდაბნოს სიცხეც სასიამოვნოა, მაგრამ უკანასკნელ ამბებით ნერვებაშლილ და ტემპერამენტიან ჩემბერლენისთვის ისე ცხელია, როგორც ჯოჯოხეთში.

მას სურს მოიხადოს ცილინდრი, გადაისროლოს მონოკლი, გაიხადოს ფრაკი, გაიხსნას საყელო, მაგრამ მაშინ ის ხომ მეფისა და სამშობლოს მოღალატე გამოვა.

სერ ოსტინ ჩემბერლენს ცხელა, როგორც კიბორს ტაფაზე. იგი იხრაკება საკუთარ ოფლში.

— სერ ოსტინ! ამბობს ხიკსი,—თქვენ თითქოს უხერხულათ გრძნობთ თავს... რაშია საქმე... იმისათვის ხომ არა ნობელის პრემია რომ გერგოთ მშვიდობიანობის პოლიტიკისათვის?.. პრემია დიდი ხანია რაც აიღეთ, ეხლა კი როგორ განაღვლებსთ?.. რეპუტაცია?.. ერთ ცნობილ წერილის შემდეგ ასეთ ფასს-დაკლებულ საქონლისათვის განა ღირს ფიქრი?.. სიმშვიდის ანგელოზი...

— ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ ლაპარაკობენ!.. აწყვეტინებს მკაცრად პოლიციის უფროსი.

ხიკსი ყლაპავს ენაზე მომდგარ სიტყვებს და დამნაშავესავით უცქერის პოლიციის უფროსს.

ოთახში კვლავ მდუმარებაა.

ჩემბერლენი დღეს მელანქოლიურ განწყობილებაშია.

— საწყალი სიმშვიდის ანგელოზი!—ამბობს ის,— ლოკარნოს შემდეგ მე მთლად დამავიწყდა იგი. გასვენებასაც კი არ დავესწრები ისე დაასაფლავებს... საწყალი სიმშვიდის ანგელოზი... საკვირველია, ნუთუ ჩინეთში გაგზავნილმა კრეისერებმა და ქალაქებზე ყუმბარების დაშენამ ისეთი საშინელი გავლენა იქონიეს მის ორგანიზმზე, რომ წუთისოფელს გამოესალმეს კიდეც?..

— დამშვიდდით, სერ ოსტინ!—ანუგეშებს ხიკსი.— სჩანს იგი არ იყო ამ ქვეყნის მცხოვრები... უფალმა მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა



— თქვენ ხომ პარტერის ბილეთი არა გაქვთ! მიბრძანდით ქანდარაზე.
— ფასები ხომ დაწეულია, და მეც ზევიდან ქვევით დავიწიე.

მისი პატარა წმინდა სული და ჩვენი მოვალეობაა მაგრად შევხვდეთ მომხდარ უბედურებას... შეურიგდეთ ბედს, მით უმეტესს, როცა უდროოდ დაღუპულ სიმშვიდის ანგელოზის ნაცვლად, გვყავს ისეთი სიმშვიდის მცველი, როგორც ეს ჩვენი პოლიციის უფროსი... ჩვენთვის ესეც კმარა...

პოლიციის უფროსი კმაყოფილად იღიმება.

ხელის ერთი მაგიური გაქნევა, და კედელზე, როგორც კინოეკრანზე, მიდიან პოლიციელთა მტკიცე რიგები, შტრეიკბრეხერების და ფაშისტების შეიარაღებული რაზმები.

ხელის კიდევ ერთი გაქნევა და ქრება ყველაფერი.

ხიკსი აღტაცებულია.

ჩემბერლენს კი მაინც ცხელა. შეიძლება უფრო მეტად. ოფლის წვეთები წურწურით ჩამოდიან შუბლიდან ცხვირზე... ცხელა როგორც არასოდეს.

— სერ ხიკს, სთხოვეთ პოლიციის უფროსს, უბრძანოს, გააღონ ფანჯრები... გარეთ გაზაფხულია, და მილიონიან შეკვეთების ყვავილები ასე წარმტაცად ყვავიან... თუმცა, დღეის შემდეგ არა ჩვენთვის, მაგრამ მათი სუნი ჩვენამდისაც მოაღწევს ალბად... გააღეთ ფანჯრები!.. მე მცხელა... ჩემს თვალებში თითქოს წითელი რგოლები ტრიალებენ!..

ხიკსი ფერმკრთალია.

— პოლიციის უფროსო, უბრძანეთ გააღონ ფანჯრები... სერ ოსტინ ჩემბერლენს ცხელა... მას სურს შეკვეთების ყვავილების მოყნოსვა..

პოლიციის უფროსი რეკავს ზარს.

ერთგული დარაჯები სასოებით უსმენენ ბრძანებას.

— დახურეთ დარაბები ფანჯრებზე და გადარაზეთ რაზებით. გააძლიერეთ მზვერავთა რაზმები. სერ-ოსტინ ჩემბერლენი შეწუხებულია. ის ხედავს წითელ რგოლებს. მიიღეთ ზომები მათ აღმოსაჩენათ!.. გაჩხრიკეთ ყველანი!.. სერ ხიკს მზადაა მოაწეროს ხელი ყოველგვარ ორდერს... იპოვეთ შესაფერი საბუთები... მიიღეთ ყოველგვარი ზომები... წითელი რგოლები უნდა აღმოჩენილ იქნან და განდევნილი დიდ ბრიტანეთის საზღვრებიდან დაუყოვნებლივ!..

ხიკსი აჩქარებით აწერს ხელს ორდერებს. პოლიციის უფროსმა უკეთ იცის საქმის ვითარება, ვიდრე მან ანდა ჩემბერლენმა.

ოთახში კვლავ მდუმარებაა.

სერ ოსტინ ჩემბერლენი ურიგდება ბედს და ეხლა თითქოს აღარ ცხელა.

ისე, როგორც აღარ ცხელა უკვე შეხრაკულ კიბოს.

პოლიციის უფროსი რაღაც ქაღალდებს აძვრენს პორტფელიდან და ათვალიერებს. უკვე მზადაა ყველაფერი.

მზადაა ჩემბერლენიც.

და გაზაფხულის მშვენიერ ღამეს, როცა ასე სასიამოვნოდ ყვავიან კარებთან შეკვეთების წარმტაცი ყვავილები, ხიკსისა და პოლიციის უფროსის კარნახის ქვეშ, სერ ოსტინ ჩემბელენი გაძალებით სწერს ნოტას და მის ცოფით შეპყრობილ გონებას ეხლა უკვე აღარ ახსოვს არც ნობელის პრემია, არც ლოკარნო და არც მისი ანგელოზები...

**სინემატო.**



— აკი ამბობდი შენ, რომ მოვკდები და ღვინოს არ დავლევო?!
— მერე რა? ჯერ ხომ არ მომკვდარვარ! როცა მოვკდები, მართლაც არ დავლევ!

# აკოფას ღია წერილი ჩემბერლენს

ბარილუს პარუნ იუსტინ ჩემბერლენ!

უფალმა ღმერთმა მთხოვოს შენი სქელშუბლიანი თავი, თუ იმავე ნიმუტში ნალოჟნი პლატეჟით არ გაუგზავნო, მერე ძალით წამართოს!..

ბიჭო, შე პირ-ძაღლო, ეგ რა ჩირთი-ფირთები და იშკილბაზობა დაიწყე? ახარ შე ლაპუსტაცო, სამგლე გოჭივით რო ატყდი, არ გეშინიან რო შუბა გაგიპენტონ?

ჰუზურ'ში შენი ჰოპოპების ამბავი ისედაც ვიცოდით, არც თუ დიდი მათა რამე გვეგონე, ჰამა თავში თუ, ამისთანა ქარის წისქვილები გქონდა, ეს კი რა გაგვიგონია! ჩემ სიყმეს გეფიცები იუსტინჯან, მართალს გებნები, გინდ დაიჯერე, გინდა ნუ!

ახარ ეგ არის შენი ნამუსი და მარიფათი, შენი ჯენტლემენცკი ჰუნარები, რომ ამ სიბერის დროს თაჲნი ჯიბგირობა და შანტაჟჩიკობა დაიწყე? შე ბემურაზო, შენი ამოსაგდები თავისა მაინც არა გცხვენიან? ამტოლი ტყუილი და ფილშივობა შენს ჰამქარში მაინც არ გირიდება?

ეე, ახმახ, ეგ თქვენი „მუდრეგ-სტრიტი“ პარლამენტხანა, ბრმების სკოლათ გამხდარა?!!

ვა, ჩემა მზემ პირდაპირ პარაჟონი ვხდები რაღა!— ჩვენი ქოსა იაგორა ხომ ტრაბახია, კოლოთაღში ტყუილების კურსონიკს უძახიან, ჰამაც ჯიბგირობა, უკნიდან ბებუთის ჩაცემა და ფალშივომანეთჩიკობაც იმის მოგონილია, ჰამა მასაბი შამირცხვეს თუ ის შენთან მამა აბრამის ნუგბარი ბატკანი არ იყოს და ნამუსითაც სამი თაბახით შენზე მეტი რა აიწონოს, მაშ!

არ კი გეწყინოს იუსტინჯან, ჰამა მე პირში თქმა ვიცი —დიდი ჟულიკი ვინმეები შეგროვილხართ მაგ თქვენ მთავრობაში და მაგ ჟულიკების გლავნი შენა ჰყოფილხარ!!

არა, თუ ნამუსის ერთი ბუსუსი მაინც შაგრჩენია მაგ ბადიასავით მოკალულ თავზე, ერთი ატკრავენათ შამატყობინე, ნიუჟელი მართლა გგონია, რომ შენი ჰიშკილებით ვისმე შეაშინეფ? ეხლა ხომ ჩვენი პურმარილი გათავებულია, ხომ ჩვენმა ძმამ და პირის ზიარებამ ლიტვინოვმა აკანჩატელნათ გითხრა: „ამით ვათავებთ თქვენთან დავიდარაბას და ყალ-მაყალს, ჰამაც მივდივართ უკანასკნელათ მიიღე სერ, ჩემი და სხვაო“, ეხლა რაღას იტყვი? კარქი ხურდა მიიღე არა?

არა რომ ეხლა ჯიგრიანი ჰელეთ-მეელთი მოგდის, და ჰაა,საცაა თაგვის სურო სტერლინგი გაგიხდება,—მერე ადექი და შენი ჯანდაგი ვირი ტალახიდან ამოიყვანე ჩვენ აღარ დაგვაბრალო აი!

არა შე ლუპუსტაცო, განა ნაიზუსტნათ არ იცოდი, რომ ჩვენ ტარგოვი პრესტავიტელსტვაში მარტო ანხარიშები, ჩერვონცები და ვექსილები იყო? არ იცი რომ ჩვენი ბიჭები შენი ჰამქარივით ნამუს გარეცხილი არ არიან და რაც ერთხელ უთქვიათ, იმას ძმა-კაცურად შაასრულებენ?

არა, ოთოთაანთ ქორივით რო ჩააფრინდით, ჩვენი პრესტავიტელსტვის შკაფებსა და დახლსა—ნამუსი აღარ იყო? თქვე ბემურაზებო გეთქოთ რაღა თუ:

— მეზობლებოჯან, აი ფლანი და ფსტანი შპიონი იძახის თუ თქვენ ზაგავორი გვიშვრებით, ერთი პაჟალუსტა გვითხარით მართალია?

არა რომ ჩვენი ბიჭები ყველაფერს გაგებინებდნენ, ხომ იცი, იმათ ტაინი სეკრეტი არ უყვართ, გეტყოდნენ:

— ვაჭრობა განდა, ოოღ ვივაჭროთ, ფული მოვიგოთ, ჩვენ მაგისთანა რამეებისთვის არა გვცალიან, ქვეყანას

ვაშენებთ, ხალხის საქმეს ვაკეთებთ, ომები და ყალ-მაყალი რათ გვინდა, ჩვენ ისედაც კირკიტები ვართ, ჩვენ უსისხლო ომი ვიცით,ეს კი ჩვენი ძმა კომინტერნის ხელობაა: ის სიტყვითა ომობს—და მთელი ქვეყნის ძმა-ბიჭები—მუშები რაღა, ყურს უგდებენ და ჰამაც თავის თამაშობს იჭერენ.

რის დოკუმენტი, რის ფლანი,რის ფსტანი, დაკა ხელი, საქონელი წაიღე, ფული მაიტა, მაშინები დაგვიმზადე, ზაკაზი პირნათლათ შაგვისრულე—აი ჩვენი დაკუმენტიო!

ჰამა შენც და შენს ძმა-ბიჭებსაც სულ სხვა მუცლის გვრემა გაქვთ, დაკუმენტი კი არ გინდათ, შარს ეძებთ, მუშების სისხლი გწყურიათ, ტრუდავოი ხალხის თავისუფლება ვერ მოგინელებიათ და პადლოგებით გინდათ მშრალზე გახვიდეთ!

ეე, ბლენა—მუთნა ტო, ახმახ მინისტრს?!! არ იცი, რო ეგ ძველი ფალშივი ნუმერი არ გაგივა? შენ სხვა თქვი, სხვა პესნა დაუკარ, ჰამაც ცოტა ფრთხილათ დაიჭი ეგ სამგლე სიფათი, მაგ ცალ-თვალზე შუშაბანდი არ ჩაგიმტვრიონ. ფრაკი არ გაგიწეწიონ, ცილინდრი არ დაგიჭყლიტონ მააა!!..

ახარ იქნება სთქო, ეს ჰარიფი ბკოფა ძველი კამერციის კაცია და ჩემს მხარეზე იქნებაო ვა, ჰერნანიწაწ, არ იცი რომ დიდი ხანია თვალი ამეხილა, თეთრი და წითელი დავინახე და ჰამაც პლატფორმაზე დავდექი?

ჰამა ამას პლატფორმა რათ უნდა, რომელი სლეპოი უნდა იყოს, რომ შენი ოინბაზობა არ დაინახოს? შე ქითაბდასახევო, ნახერალ ა. ქვეყანა კუკლასავით მორთეს, თოფები რამდენი წელიწადია უკე ჩიხაოში დააწყეს და ჩექუჩები და რამეები აიღეს, რომა რაც რომ გასაკეთებელია—გააკეთონ, გასასწორებელი გაასწორონ, ხალხში განათლება შაიტანონ, სიღარიბე მოსპონ, ცხოვრებას პაჩინკა უყონ, ლიხტრიფიკაცია ქნან—ვინ მოსთვლის?

ასეთ დროს ომი და ყალ-მაყალი? ამისთანა რამებისათვის ჩალიშობა? ეე, ჭკვაზე მოდი რაღა შე ბემურაზო. მაგას ვინ მოგიწონებს?!..

ახში, თუ უჯათობის ვირზე შამჯდარხარ და მაინც არ დაგიმლია, იცოდე კაი ლაზათიან აჯაფსანდალსაც გაჭმევენ ჰაა, მერე ალარაკის დაემდერო შენებურათა!

მე ამ ზაპისკას სწორეთ იმიტომ გიგზავნი, რომ გაგაგებინო საქმის ნამდვილი პალაჟენია და გითხრა—უსტა ჩემბერლენ! სამგლე გოჭივით ნუ ახირებულხარ, შუპა არავის გააპენტინო, აფსუსია და შენი თაბაუთი დაიჭი მეთქი!

ჰამაც ჩვენი ბიჭები პოსკრიპტუმათ გითვლიან: განზე, განზე, შენი ტოლი იცოდე, ეგ გვერდები იზრალე და იცოდი.

—-რხადან.

# ფასების დაკლების კამპანია

ფასის დაკლების კამპანიის გაჩაღებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. საზოგადო, თუ კერძო დაწესებულებათა და პირთაგან. ტარტაროზი უამრავათ განცხადება მოსდის. მოგვყავს ზოგიერთი.

**სახელგამი:** საერთო ფასის დაკლების გამო სახელგამმაც საგრძნობლად დაუკლო ფასი.. მაგალითად: 1925 წლის კალენდრებს დაუკლო 80 %, 1926 წლისას 70 და 1927 წლისას კი—60. გოგებაშვილის მიერ შედგენილ სახელმძღვანელო წიგნებს (წერა-კითხვის გამავრ.. საზოგ. მიერ გამოცემულს „დედაენასა", „ბუნების კარს" და „რუსკოე სლოვოს" 100 %.

**სახკინმრეწვი:** მთელი 90 % დავაკელით სურათის ღირსებას. იმედი გვაქვს შემდეგი ჩვენი სურათები კიდევ უფრო ფასდაკლებულნი იქნებიან. შ

**ტრამვაი:** დაუკელით მგზავრებისადმი ზრდილობიან მოპყრობას.

**წითელი სასადილოები:** დაკლების კომპანიის გატარების მიზნით ჩვენც დავუკელით: კარაქს, ერბოს, ხორცისა და პურის ულუფას, საერთო დაკლება 37 ½ % უდრის.

**ბორჯომის წყლის სამმართველო:** შესამჩნევად დავუკელით ჭიქას სიდიდე, რაც გვაძლევს დიდ დაზოგვას.

**სახგანათლება:** დავუკელით მასწავლებლებს ჯამაგირი და პენსია.

**მასწავლებლები:** დავუკელით ბეჯითობასა და გულმოდგინეობას.

**მასწავლებელნი:** მთელი 98 % დავუკელით სწავლას.

**დედები:** დავუკელით შვილიერებას, აუწიეთ ლორიგანს.

**ექიმები:** დავუკელით აბორტის საოპერაციო გასამრჯელოს.

**ბანკის დირექტორები:** დავუკელით პროცენტებს და სულ მოვსპეთ კრედიტი.

**მღვდლები:** მუქთათ გავხადეთ წინ გაძღოლა და ანდერძის აგება, გავაიაფეთ კათალიკოსობა.

**პოეტები, მგოსნები, კრიტიკოსები, პუბლიცისტები:** შევამოკლეთ ჰწკარები და რითმები..

**„საქართველოს ღვინო":** წინანდელი (არ გეგონოთ წინანდელი) კახეთია"-ს ფირმის ღვინის ღირსებას საგრძნობლათ დავუკელით, „კახეთია"-დან მემკვიდრეობით გადმოცემული ქონებასაც დავუკელით.. კრედიტორებსაც ვალი დავუკელით, მაგრამ პასუხისმგებლები პასუხისგებას მაინც გაურბიან.

**რძის მეიდველები:** საგრძნობლათ დავუკელით რძეს უფასოთ მოვუმატეთ წყალი. **გოგისას კვანტი.**



# დ ა კ ი თ ხ ვ ა

**გამომძიებელი:** მოქალაქე კუდგრძელაძევ, თქვენ ბრალი გედებათ: 2.904 მან. 09 კაპ. გაფლანგვაში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, სახალხო ქონების დაუზოგაობაში და, ერთი სიტყვით, ასეთ ბევრს რამეში.. რას იტყვით ყველა ამის შესახებ?

– **კუდგრძელაძე:** აზირებულია, მე და ჩემმა ღმერთმა, ასეთი ბრალდებების წამოყენება ჩემს მიმართ. და აზირებულია აი რატომ:

დავიწყოთ თავიდან და შევეხოთ სათითაოდ ყველა ბრალდებას.

ჯერ ფულის გაფლანგვას შევეხოთ, თუ ამას გაფლანგვა ჰქვია, მე მგონია არა.

მე ვიცი რომ ალმასკომს (და, საერთოდ, სახელმწიფოს) დიდი შემოსავალი აქვს ფუფუნების სავაჭროებიდან, რესტორან-ბალებიდან და, ერთი სიტყვით, ყველა იმისაგან, რასაც ფუფუნება ჰქვია.

დიახ! ეს ასეა. მუშათა კოოპერატივებს დიდ გადასახადებს ვერ დაადებს სახელმწიფო. მაშასადამე: უნდა დაადოს ზემოხსნებულ სავაჭროებს. აქედან ლოღიკური დასკვნა ის არის, რომ ასეთმა სავაჭროებმა უნდა იარსებონ. საკითხი იბადება: როგორ შეუძლიათ ამათ არსებობა? ცხადია: შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ვაჭრობა ექნებათ. თუ ვაჭრობა არ ექნებათ, ისიც ცხადია, რომ ისინი დაიკეტებიან, რითაც სახელმწიფოს მოაკლდება შემოსავალი, რომელიც შემოაქვთ იმათ. აქედან კიდევ ლოღიკური დასკვნა: საჭიროა მათი არსებობისათვის მუშტრები.

ვინ უნდა იყონ ეს მუშტრები? ცხადია: მათ მუშტრებათ ვერ გამოდგებიან დაბალი მუშა-მოსამსახურები, რომლებსაც ამისათვის საკმაო ჯამაგირი არა აქვთ და ამასთან ერთად უნარი და შნო. მაშასადამე: დიდ თანამდებობის მოსამსახურემ უნდა შეუწყოს ხელი მათ არსებობას. და მე, როგორც შეგნებული საბჭოთა მოქალაქე. პასუხისმგებელი მუშაკი—ტრესტის დირექტორი, ვალდებული ვიყავი თავისი მდგომარეობით ხელი შემეწყო მათი არსებობისათვის. ასეც მოვიქეცი. ის 2.904 მან. 09 კაპ.. ჩემ მიერ გაფლანგული... უკაცრავად, დახარჯულია და განაწილებულია სხვადასხვა ფუფუნების მაღაზიებში და რესტორან-ბალებში. მე მადლობას ვუძღვნი ჩემს ნაცნობ მანდილოსნებს, რომლებთანაც მე ეს ფული დავხარჯავს. თუ არა ისინი, მარტოხელა კაცი, ხომ გაგიგონიათ!—პურის ჭამაშიაც ბრალია (ე. ი. ცოდვაა) რასაკვირველია, ვერ შევსძლებდი ასე მოკლე დროის განმავლობაში ამ თანხის დახარჯვას.

მერმე რა! თქვენ გგონიათ, საერთო იტოგში, ჯამში სახელმწიფოს ამით დააკლდა რამე?! სრულებითაც არაფერი. ერთი სალაროდან ამოვიდა და მეორეში ჩავიდა; ორივე სალარო კი სახელმწიფოსია. ამგვარად: სახელმწიფოს ამ ოპერაციით არაფერი წაუგია, ხოლო მე და ჩემმა ნაცნობებმა დრო გავატარეთ და ცხოვრება გავიგეთ.

შემდეგი ბრალდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ სახალხო ქონებას არ ვზოგავდი, ესეც უსაფუძვლოა და აი რატომ:

თუ მე ხშირად მივდიოდი მივლინებებში, ამით სარგებლობა ჰქონდა რკინის გზას. რბილი ვაგონით მგზავრობიდან რკინის გზას დიდი შემოსავალი აქვს. რამდენადაც მეტი მიმოსვლა (მივლინებები) იქნება, იმდენად მეტი შემოსავალი აქვს რკინის გზას. და რკინის გზა ხომ სახელმწიფოსია?! მაშასადამე: ჩემ მიერ მივლინებებში დახარჯული ფული ისევ სახელმწიფო სალაროში შედის.

რაც შეეხება იმას, რომ ავტოთი დავდიოდი წარამარა, ესეც უსაფუძლო ბრალდებაა. მერე რა ვუყოთ, რომ ბევრი ბენზინი, შინები და სხვა ნივთები ცვდებოდენ და ახალს ვიძენდი! ამით აზნეფტს და რეზინოტრესტს უფრო მეტი შემოსავალი ექნებოდა. ხოლო რამდენად ბევრია მოთხოვნილება, იმდენად მატულობს წარმოება. ეს კარგი საქმეა. ჩვენში ბევრი უმუშევრებია, რომლებსაც სამსახურის შოვნის იმედი ეძლევათ როცა წარმოება მეტ პროდუქციას ასაღებს ბაზარზე. და ბაზარზე მაშინ არის მოთხოვნილება, როცა გაჩაღებულია მიმოსვლა; (ამ შემთხვევაში იგულისხმება ავტოთი მიმოსვლა).

ბრალს იმაშიაც მდებენ, რომ მიწერ-მოწერა ცენტრთან წერილობითი უნდა ყოფილიყო და არა დეპეშით, რაც გამოიწვევდა ხარჯების შემცირებასო. ეს მართალია... ხარჯები ნაკლები იქნებოდა. მაგრამ, ერთი იგი მითხარით, განა ეს ფული მე წყალში გადავყარე? არა. სრულებითაც არა. მე ეს ფული მივეცი „ნარკომსვიაზის“ დეპეშათა სააგენტოს. რა შემოსავალი ექნება „ნარკომსვიაზს“, ანუ სახელმწიფოს, თუ კი მიმოწერა წერილობით ვაწარმოეთ? რვა კაპიკიანი და თუ გინდ დაზღვეული წერილი რა დიდ ბარაქას შეჰმატებს?. ფოსტას? არაფერს. ამას რომ თავი დავანებოთ, ყველა რომ ასე მოიქცეს, მაშინ აღარც დეპეშები იქნება მაინცადამაინც დიდათ საჭირო. მერმე და დროის დაზოგვა? წერილის და დეპეშის სისწრაფე ისე შეუდარებელია, როგორც ურემის და მატარებლის. დრო კი,—როგორც მოგეხსენებათ და როგორც ამბობენ, (პლაკატებსაც აკრავენ დაწესებულებებში),—ოქროზე უფრო მეტს ფასობს.

დიახ! ყველა ეს ასეა და ყველა ეს სრული, ანბანური ჭეშმარიტებაა. ასეთია სინამდვილე, ვინც ღრმად ჩაუკვირდება სახელმწიფოებრივ ვითარებაში. ჩემი ღრმა რწმენით მე არ უნდა ვიყო დამნაშავე და მე ეს ასეც მგონია...

დასამატებელი ჯერ-ჯერობით არაფერი მაქვს.

**ისელი.**



თავადი.—ჰაი დედასა! წინათ მარტო ჩემი გვარიშვილობაც კი მილიონათ მიღირდა, ფულიც ბევრი მქონდა და პატივიც. ეხლა კი ისე გამიხდა საქმე, რომ სიცოცხლე გროშათ არ მიღირს!..

ვაჭარი.—რას იზამ კნიაზჯან! მაზანდა დაეცა, ხომ იცი, ეხლა პირველი სორტის საქონელზედაც ფასები დაუკლეს და ჩვენისთანა ხარა-ხურას რაღა ფასი ექნება?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისური ქინქისთავი



უნდოდა ჩხვლეტა



მიუხვდა მიზანს



აწ კი რას იზამს!

# გასტროლიორები

**მხატი**
**მეიერხოლდი**
**დედას ლევანა**

ძმაო ვანო!

ისე ჯიგრიანად მაფიცებ ჩემი ცხონებული დედ-მამის სულსა, რომ ხათრს ვერ გიტეხ და გიგზავნი საპასუხო წერილს.

გინდა გაიგო აქაური ავან-ჩავანი?

თან გული გწყდება რომ აქ არა ხარ?

(იცი რა გითხრა, ჩემო ძმაო? აქ ყოფნასა და ჩემნაირ ჯიბის დაწყვეტასა, ისევ მანდ ყოფნა და შენნაირი გულის-დაწყვეტა სჯობია).

მაგრამ მომისმინე—რადგან არ დაგიშლია:

**მინდა მოგწერო ამბავი**
**ტფილისის ქალაქისაო,**
**თანაც გიამბო—თუ როგორ**
**გამომეფიტა ქისაო.**

### შემოსევა

მთელი წლის განმავლობაში ზედიზედა ხდება აქ ერთი-ერთმანეთზე უარესი მხატვრული შემოსევანი.

ასეთი ლაშქრიონის სამზადისი წინათვე იწყობა: მზვერავების (რეცენზენტების და სპეცების) აურ-ზაურით, დიპლომატიური (ანტრეპრენიორების) მისვლა-მოსვლით.

დაინტერესებულ პირთა (უარყოფილ გენიათა) მითქმა-მოთქმით და ჩვეულებრივ (ყველას ნესკავზე წამოსაგებ) მოქალაქეთა ალიაქოთით.

ბოლოს მოდიან, ვისაც ველით.

მშვიდათ, უბრძოლველად აიღებენ იმ დიდებულ ციხე-დარბაზს—სახელმწიფო ოპერას რომ ვუწოდებთ და იქიდან ჩასაფრებულებს დაუნდობარი იერიში მოაქვთ.

### ჩვენს ჯიბეზე

უნდა მოგახსენო—ჩვენი ჯიბე ისე ძნელი მისადგომი რამ არის ნათესავებისა, მეგობრებისა და გაჭირვებულთათვის—თურმე ძალიან ადვილი ასაღები ყოფილა ეგრე უცნობ და უცხოდ მოსული მონადირეთათვის.

უნდა ისიც მოგახსენო, რომ დიდი ჯადოქარი ხალხი უნდა იყვენ ეს თავისებური მონადირენი: იქიდანვე, შორიდანავე შეულოცავენ ხოლმე მთელ ხალხს. და როგორც ყველა შელოცვილი, ხალხიც გადიქცევა ხოლმე მათ მონა-მორჩილად (ანუ თავისუფალ აგენტებად).

ჯერ დაიწყებენ გაზეთები:

მოდიან!
მოდიან!
მოდიან!
ის  და ეს!
ესა და ეს!
ესა და ეს!
ამააირია!
იმნაირია!
ასეთია!
ისეთია!
ყველგან:
გამარჯვება!
გამარჯვება!
გამაჯვება!

ამას ზედ მოსდევს უფრო შემაძრწუნებელი განცხადებანი:

**„ბილეთებზე ჩაწერა იწყება ორი თვის წინედ“. „გაიყიდება ერთი თვის წინედ მხოლოდ ამდენი და ამდენი“.**

ასეთი ამბების შემდეგ მორჩა: ხალხი უკვე მოჯადოებულია, შელოცვილია!

და ყოველ დღე ყველანი ყოველ შეხვედრაზე გამარჯობას თქმას ვერც კი მოასწრებენ და მაშინათვე ერთმანეთა ეკითხებიან:

მიდიხარ?
მიდიხარ?
რაზე და რაზე?
როდისა და როდის?

და ასე ერთმანეთი შექებული, შელოცვილი და შერცხვენილი ხალხი ყველა მიეშურება ახალ-ახალი გასტროლიორების სანახავად.

მეც, ჩემო ვანო, კარგად იცი საწყალი ხასიათის კაცი ვარ. ბევრჯერ რომ გავკაჟდე ხელმოკლეობის გამო, ყოველთვის მაინც შეუძლებელია... და მეც ავყევი ფეხის ხმას.

ი ვილაც სტეპანოვა და მიგაი იყვენ —იმათ კი ვერაფერი იხეირეს ჩემგან.

მაგრამ მარხვას შევერიე, აი მხატიო თუ რალაც, იქიდანა.

ყურები ისე გამომიჭედეს იმათი ქება-დიდებითა, რომ გადავსწყვიტე: —დაე, დავიქცე, მაგრამ ეს მაინც უნდა ვნახო-მეთქი.



— როგორ ტკბილათ მიდიან ჩვენი სიყვარულის დღეები!
— თუ ასეა, დაგეპატიჟებიე შოკოლადზე!

ყველა წარმოდგენაზე ავიღე ბილეთი და ნახევარი თვის ჯამაგირიც ალლად მივატოვე იქა.

სწორედ გითხრა—წყალში გადამეყარა—ეგებ უფრო უკეთესი ყოფილიყო: დრო მაინც ნაკლები დამეხარჯებოდა.

აქ ვერ ვბედავ ხმამაღლა თქმას, მაგრამ შენ კი მოგწერ შინაურულად. ვიცი, არ დამძრახავ თუ უვიცობას ჩავდივარ.

ჰო-და უნდა გითხრა რომ:

ეს „მხატი“ ყველაფერი იყო და არაფერიც.

მე აქ ვერ დავინახე ვერც ოპერეტის ლერძი, ვერც კომედიის, ვერც დრამის, ვერც შარჟის.

მაგრამ ერთი კაი თქმა კი მაინც დამრჩა იმათაგან: **Дурак довоенного времени.**

დიაღ, სწორედ ჩვენ ვართ ეს „დურაკ დოვოენნავო ვრემენი“. ესე იგი 100 პროცენტიანი დურაკები, რომ ასე თავის მტვრევით ვეგებით ყოველ გასტროლიორისაგან გადმოსროლილ წესკავზე.

მახლას! ეს მოვინელე როგორც იქნა და აგერ კარზე მოგვადგა მეიერხოლდი.

რევოლიუციას!
თეატრი!
მეიერხოლდი!
ახალი თეატრი!
მემარცხენე თეატრი!
თეატრი ყირამალა!
და მეიერხოლდი!
მოდი, კაი ბიჭო და ამასაც ნუ ნახავ!
მაინც მხალმა რომ გაწყენინოს, მეიერხოლდისა რა ბრალია!
აქ დაიწყო ისევ:
მიდიხარ?
არ მიდიხარ?
რომელზე?
როდის?
დიაღ, მივდივარ ყველაზე ყოველთვის!
ნახევარი თვის ჯამაგირიც აქ მივატოვე.
წაველი. ვნახე.
აქაც წყალში გადაყრილი ფულები!
კინოა, ცირკი, დრამა თუ შარჟი—ვერც აქ გავიგე ვერაფერი.
ვხედავ მხოლოდ: წელებზე ფეხი დაუდგამს ამ კაცს რომ გაგვაკვიროს, მაგრამ არ მიკვირს.
უნდა გაგვაცინოს, მაგრამ არ მეცინება.
ეჰ! ქება სჯობდა ნახვასაო.
ყველა ამ გასტროლიორებზე გამიტყდა გული. ჩალის ფასად აღარ ვაგდებ.
ლამის არის საათიშო ბოძები დავანგრიო, ესე მაცდურად რომ აცხადებენ ყველაფერს.
მაგრამ...

**დედას ლევანა!**

გარე კახეთიდან!
ნამდვილი გლეხი!
ურმული!
მრავალჟამიერი!
მაყრული!
მგზავრული!
ჰოროველა!

ოო, ვენაცვალე. ეს კი ხალდი რამეა. ამაზე კი წავალ აუცილებლად!

მხატისა და მეიერხოლდის იმედგაცრუების შემდეგ ეს კი სწორედ მალამოთ დამედება გულზე.

სადაც იქნა, ვიშოვე მანეთნახევარი, სხვებიც მრავალი შევაქეზე და მივედით.—

დედას ლევანას მოსასმენად.

ხალხს ტევა არა აქვს თეატრში.

მთელი ტფილისის კახელობა იქ მოაწყდა.

ველით მოუთმენლად.

ჯერ გამოვიდა ჩვენი გარდანქეშანი იოსები. ერთი რიგიანათ შეუკურთხა ბურჟუაზიას, მიაფურთხა ეშმაკს, საკმეველი უკმია „გლეხობის გულიდან ამოღებულ“ მომღერლებს და ბოლოს გამოვიდა დედას ლევანა.

გამოვიდა, მაგრამ...

ეჰ, ამას ნუღარა მკითხავ, ნუ!

მიკვირს მხოლოდ, ოატომ ხელები არ დაიწვათ იმ საღამოს შემოსული ფულების დათვლაზე!

ოო, დედას ლევანა!

მხატსა და მეიერხოლდის შემდეგ რაღა შენგან მინდოდა ცეცხლზე ნავთის დასხმა!

**ნადირი.**

# შვილი გამისტუდენტდა

ჩემძ გამზრიყვებელი, ჩემი ამომგდები უჩიტელიდავსწყევლო ან რაფერ გევიმეტო და ან რაფერ დავსწყევლო. თუ გინდა კიდეც გევიმეტო დასაწყევლათ, ჩემი ჩემს გამოქყაპულ ბალანას რომ არ ეყურება,—და რომელი ხატი და ჯვარია ჩემსას, რომ გეიგონებს და გულს მომიოხებს?!

ხო და შენ ჩემი ბატონი... დიახ ბატონი, თვარა ჩემი აფხანაკი რომ იყო, პაწეი ვალის გასტუმრებაზე წამომკრავდი ხელს, ან თოხით ყანაში მომეხმარებოდი,მარტუაი რომ უზაპუნებ; ყანაში წყალისა და ხეფსის მომტანი არ მყავს... ჩვენი სოფლის უჩიტელი, არ მომცა საშველი-სახიდებელი, მითუა და მიწვიმა, საცხა კი შემხვთებოდა, მოვალე ურიასავით ჩამაფრინდებოდა, მიჩივოდა:—ჩემო მასიკო ბედნიერი კაცი ხარ: ნიჭიერი შვილი გყავს. არ წეიწყმინდო სული, არ დეიდვა უზიდავძ ცოდვა და სტავლა გააგრძელებიეო,—გამიგრძელა ენა შეამვალსავით, ჩამომეკიდა ჩაუშის ნაჯახსავით, ქე შემაცდინა, ქე დამღუპა და ამომაკვინკვილა კაცი, დამძვსო და დამინგრია ნაკეტავ-ნაწყდავი ოჯახი, გამაყიდია ოთხ თვალი ოდა, დაყურსული წაბლის ხელა და კრამიტით დახურული ნალი, ულლათ ხარები—ლომაძ და ჰოქაე, ჩვილხბოიანი ძროხა გიშერაი, დავაგირავე სულის ჩასაპურებელი ორი ქცევა ხაშიეს მერე. ვიფიქრე:შვილს გამოვზრდი და მერე გამომადგება-მეთქი, ძმებსა და დანებს უპატრონებს და სიბერის დროს ნენასა და ბაბასაც ნუგეშით ეყოლება, მტერს თვალს აუფსებს და მოყვარეს გუუჭყერს-მეთქი..

ვაძ ნენავ, რა ვიცოდი, თუ ვიფსებოდი, ჩემი ხელით კისერში ჯალნა ჯაყვას ვილიტინებდი. ისე მის უჩიტელს მოესწრო საკუთარი შვილი, რავაც მე მომესწრო შედაურძ. მომესწრო, მარა რა მომესწრო,—სტუდენტი შვილი მომესწრო.

უწინდელი სტუდენტი ჭკუა საკითხავათ იყო, ასე გამიგონია—ხემწიფეს აგდებდა ტახტიდანო. ახლა ხემწიფე ქვა ჩამოუარდნილი და აგინი მოჭვას აგდებენ ბუდიდან—კვერცხები ლობიას სჯობსო, კეჟერა ფხალის უკეთესი შემწვარი ვარძე არისო, კეცის ჭადს ხაჭაპური მირჩევნიაო; ბაბა, შენ იმუშავე და მე ვქანქავო... ბაბას რომ მაკადრებს კიდევ ვინ ჩივა, აფხანაკოო მიძახის.

ვაი ოჯახო დაღუპულო! რავა ამიზა გავაგზავნე მეორე ლუბერნიაში?! ამის პროფესორი აგერ მყავდა ყურის ძირში ჩემი ნაბატონარი აზნაური; ტყულათაი ყოფნას დღეი ძილს და ღამე ღვიმძლის და სხვისი ნამუშიერის ჭამას იგიც კი ასტავლიდა.

შვილის რჩენას ავათ იყო თუ კარგად კიდევ გუძლებდძ, მარა ახლა დედა მისიზა მუუწერია—ცოლი შევირთე და ორივე ადრე მოვალთო. ან კი რეიზა არ შეირთავდა! ანცეთს რა ეხარჯებოდა! ახლანდელ ქალს ნუ გეშინია შვამავალი რა სჭირია, მზითევი და ჯვარის წერა.ჩამოვა ახლამის ი ზაქსური ცოლით და უცხვე ხაჭაპურები, შენი თოხით არჩინე კიდევ ნასტავლი, სტუდენტი შვილი და მისი ცოლი; მერე კიდევ თუ ცოლმა არ იეშმაკა, ბალნები ეყოლება და გარჩენიებს. კადრებ რამეს და შენ რეაქციონერი და კონტრ-რევოლიუციონერძ ხარ—მეშჩანი და კულაკი. ის კი—რევოლიუციონერი და ყორძფელი კაი პიონერი. „გოგეი მთოხნელიო, ოცდაათძ მცოხნელიო".—სტორეთ ასეა ჩემი საქმე.

პიტნა.



მომგებიანი სესხის
იყიდა მან ბილეთი.
მოგება რომ ხვდენოდა
იწამა ისევ ღმერთი.



არ სწამდა ღმერთი... ჰქონდა
მას ცარიელი ჯიბე.
ღმერთს მიბეგვავდა მაგრად
რომ ახწვდენოდა კიბე.



მოგება რომ სხვას ერგო
წაუხდა სახის ფერი...
ამბობს:—შემეძლოს ნეტა
ღმერთს ჩამოვგლიჯე წვერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუბილე და „მეგობრული ვახშამი“



პატივისცემა



აქ კი ნამდვილი ცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილი მეგობარს

სალამი, ძმაო ტერენტი, იცოცხლე და იმხიარულე შენებურად.

მივიღე შენი გამოგზავნილი წერილი, რომელმაც ნამეტანი გამახარა. შენ მწერ: „კაცო, ნუ თუ ისე გამდიდრდი და გადიდკაცდი, რომ აქეთ ყველანი დაგვივიწყეო. გავიგე, მდიდარი ცოლი შეგირთავს და სამსახურიც კარგი გქონია. ალბათ ცოლის წყალობით და აი სწორედ შენზე არის ნათქვამი: „მაძღარ მღვდელს მშიერი დიაკონიც მაძღარი ეგონაო“. ასე გემართება შენც და თუ ეს ასე არ არის, მაშინ ამოვალ მაქანე და სამსახური მიშოვნე“... მოკლეთ: თბილისში მოწყობას მთხოვ...

ამიტომ ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ყოველ შენს კითხვებზე შეძლებისდაგვარად გაგცე პასუხი.

პირველი კითხვა—**ჩემი გამდიდრება.** ქუთაისიდან რომ წამოვედი ამ სამი წლის წინათ თბილისში, იმ განზრახვით, რომ აქ კარგი ადგილი მეშოვნა. მაგრამ, ვინაიდან არ აღმოჩნდა კარგი ადგილების ვაკანსია, ამიტომ გადავწყვიტე მილიციონერად შესვლა. ააშენა ღმერთმა ხმალაძის ოჯახი—შევიდა ჩემს მდგომარეობაში და მიმიღო მლადში მილიციონერად. ჩაიიბარე პოსტი პლეხანოვის პროსპექტზე, კიროჩნის შესართავთან. სიმართლე უნდა გითხრა, იმისთანა ადგილზე ვდგევარ, რომ ცხრა თვალი უნდა გქონდეს, თორემ, თუ ერთი აგცთა, დეიღუპები კაკალი კაცი: ან ტრამვაის დაგატაკებს ვატმანი და ან ავტონომილს—შოფერი. მაგრამ მე იმისთანა თვალი მაქვს, რომ ადვილათ ვერც ერთი ვერ დამეტაკება. ეს არის ჩემი წითელი ჯოხი. ვუჩვენებ თუ არა, ადგილზე გავახმობ და, სანამ ნებას არ მივცემ, შაგს ვერ იზამენ.

ეხლა მე გიპასუხებ მდიდარი ცოლის შერთვაზე (თუ კი ამას ქვია სიმდიდრე): დავდექი სამსახურში თუ არა, შევუდექი ოთახის შოვნას. მაგრამ რაი მერე,—სადაც კი გამოჩნდა ცარიელი ოთახი, 300 მანეთი მომთხოვა სახლის პატრონმა წინდაწინ. მე კი ამდენი ფული აგერ 35 წლის კაცი ვარ და არ მახსოვს, რომ როდისმე მქონებოდეს და არც მაქვს იმედი ოდესმე მექნეს. ბოლოს ჩემმა ერთმა ავლაბრელმა ამხანაგმა მითხრა:

— იცი, კოწოჯან, შენ ოთახს ვერ იშოვნი, თუ ცოლს არ შეირთავ ისეთს, რომელსაც ოთახი ექნებაო...

იმე, მაგას რაღა აჯობებს მეთქი, მარა სადაა მაგნაირი საქმე მეთქი. რაღა სიტყვა გავაგრძელო, თვითონ იმან ამომიჩინა ამნაირი საცოლო. მართალია: ორი შვილი მზითვად დამახვედრა, თან შეხედულებით მოწყვეტილ ვარსკვლავს ჰგავს, მის ფერხორცთან, ქიათურის შავიქვა, ბამბად მოგეჩვენება; თუმცა არც ერთი კბილი არა აქვს, მაგრამ რადაი ოთახი ჰქონდა, არაფერს ყურადღება არ მივაქციე და დევიწერე ჯვარი ზაგსში. მართალია: გაბედნიერების მერე მინდოდა ქუთეისში ჩამოსვლა ჩემი მზეთუნახავით, მარა მომაგონდა ქუთაისელი ხალხის ამბავი,—თვალწინ წარმომიდგა ის, თუ ქუჩაში რანაირად მიკივლებდენ. მეც კაცი ვარ, იქნება ქე ამომელო ჩემი ნაგანი და გამეთავებია რომელიმე. ათი წელიწადიც სასტიკი იზოლიაციით ხელში მექნებოდა,—მაშინ ხომ დევიღუპებოდი კაკალი კაცი?, ასეთი ისტორია აქვს ჩემი მდიდარი და ლამაზი ცოლის შერთვას.

შემდეგი კითხვა: ამოვალ მანდ და სამსახური მიშოვნეო,—მაგის იმედს ვერ მოგცემ, მე კი არა, დიდ კომუნისტებსაც არ აქვთ ეხლა უფლება ვინმეს უპროტექციონისთე თუ გინდა, ამოდი და მიეცი განცხადება ხმალაძეს; თუ ექნა თავისუფალი ადგილი, ქე მიგიღებს. რაც შეეხება ოთახს, ჩემისთანა მზეთუნახავს თუ სადმე მოძებნი, მაშინ ოთახიც ქე გექნება და „გატოვი“ შვილებიც.

ეხლა, ტერენტი, ამ წერილის პასუხი მომწერე: ძალიან მაინტერესებს ქუთეისის ამბები, განსაკუთრებით წყალი, ანუ წყალსადენი და ტრამვაი როდის გექნებათ ქუთეისლებს. კაი იქნება, თუ იმასაც მომწერ—სამიკიტნოები უფრო მეტია, თუ კულტურული გასართობები. დავშთები შენი წერილის მოლოდინე კოწია ღომისყლაპიეშვილი.

**კირილე საფირჩხიელი.**

# ჰაი გიდი თეატრო

## (სოფ. დილომის თეატრის ისტორია).

— ქიტო, ე ჩვენი დიღმის ტრიატი რაღაცას აპირობს, ინდე ერთი შახე!..

— ეი! ესა ტრიატი კი არ არის, ეხლა საარშიყო და საანგლო ბუდეა.

— მე და ჩემმა გამჩენმა, სწორეთ კი ამბობ.

— ეი! არა, შენმა მზემ, ეხლა ბრუნდეთ ვიძახი... კაცო, აქა ჩემი აი შვიდი წლის გოგო თალიკო ვერ გამიშვია, ისეთი მამაძაღლობა ხდება.

— ქიტო, ერთხელა მე მახსომს, ამ ტრიატში რაღაც პრაჟელტორია, თუ რაღაც ჩემი ფეხები, იმას ათამაშებდენ. იმ დროს ი ჩვენი ხელაანთ გასათხოვარ ქალსა ისე უჩქმიტეს რბილ ადგილზე, რომა სიმწარისაგანა კინაღამ გულიც წაუვიდა.

— ე... ჩემო ბასავ, ბევრჯერ შავხვედრილვარ, რომა ტრიატს თამაშობენ და იმ დროს ხალხში გახურებული არშიყობა გინდა, დედის და დის გინებაო, თავში გარტყმაო, ძღლიო და, ვინ მოსთვლის, ათასი მამაძაღლობა მაშინ აუტყდებათ ამ ოხერ ტრიატრში.

— ქიტო, მერე იცი, ვინ არიან აქ საარშიყოთ მოსულნი?

— ეი, ჩემო ბასავ, ვიცი და მესმის. აბა, ვინ უნდა იყოს. თუ არა აი ყავაჩიანთი და მათთან მოსიარულე მათი მოაზრე „განათლებული“ ქალები და ჯანდაბა.

— ქიტო, აი ეს ტრიატრში რომ ორტოპიანი გდია, კაცო, რომ ნახო, ვინ არ გინდა, იმას უტყაპუნებს: ეს სკოლის ბავშვებია—და ამაზე ფეხებითაც კი დადიან, მასწავლებლებიო, მოჯამაგირეებიო და მეტადრე ეს ჩემანალა მიტაი...

— ბასა, ვინ მიტას იძახი?

— აი ჩვენი მჭედლიანთ მიტასა. კაცო, იმ პირძაღლს ორტოპიანო დაუმტვრევიათ კიდეცა.

— კაცო და რატომ არ უყურებს ან ალმასკომი, ან ეს სკოლების გამგეა, რაღაც ჩემი ფეხები?

— ეჰ, ჩემო ქიტო, ალმასკომი ჩვენ ტრიატზე არაფერ ყურადღებას აქცევს, რომა მთლად წვიმა ჩამოდის და სადაც არის, სულ დაინგრევა, აი კიდევ, ერთი წელიწადია, რაც ამ საოხრო ტრიატმა მიიძინა და ნელ-ნელა ჩვენი ახალი მასწავლებელი ქიქინაძე წვალობს მის გაღვიძებასა.

— ბასავ, წავიდეთ, ამის საცხონებელი მაინც დავლიოთ ჟამუტაანთ პავლეს დუქანში.

— აი გიდი ტრიატო?.. ნათქვამია: „უპატრონო ეკლესიას, ეშმაკები ჰპატრონობენო“.

**დიღმელი მელა.**




## ქალი—მელა

(იგავ-არაკი)

ამ იგავ-არაკის სიუჟეტი აღებულია ბრიკის წერილიდან, რომელიც გამოგზავნილია სოფ. ჯვარცხმიდან. იგავ - არაკი ძველია, ხოლო თავისი მომქმედ პირით შეფარდებულია სინამდვილესთან. ვის არ ახსოვს „დედაენიდან“ „მელა და საქათმე“:

გლეხის საქათმეს მიაგნო
გამოუთხარა ძირია.
სიმშილისაგან დაელო
წუწკ მელას ხახა-პირია.
იხვსა, ბატსა და ქათამსა
ყველას დაარჭო კბილია.
ამბობდა: ხორცი ამათი
ო, რა კარგი და ტკბილია.

აი სწორედ ასევე ითქმის ამ შემთხვევაშიაც, ხოლო სულ მცირეოდენი შემდეგი შესწორებით:



ვარდო ამბობდა:—რა მიშავს
ღამე შავი და ბნელია.
მეზობლის საქათმესთანა
მისვლა არც ისე ძნელია
სავსეა მათი საქათმე,
ჩემი კი ცარიელია.
იხვ-ბატის - ქათმის ხორცი
ტბილი დაგემრიელია.
ნაქურდალ საათს დახედა:
შუაღამე არის ბნელია...
იხვსა, ბატსა და ქათამსა
ყველას წაავლო ხელია.

მორალი: თემკომმა მასაც (ვარდოსაც)
უნდა წაავლოს ხელია
და ქურდობისთვის აჩვენოს
ვირის აბანო ცხელია.

## არხეინად....

რა თქმა უნდა მიზანის მიღწევის — გამარჯვების შემდეგ, კაცი ზეიმის და დროს ტარების ხასიათზეა. ამიტომ გასაკვირიც არარის, ამხ. „ხეინდრელო ბზიკო“, თუ თქვენში (გორას თემი, ქუთაისის მაზრა) სერგო, როგორც თქვენ იწერებით:

თავმჯდომარედ წამოსკუპდა,
გაიტანა თვისი ლელო.
მთვრალს მარაგად მას მუდამ აქვს
მრავალგვარი სადღეგრძელო.
წარმოკავშირს რაღა უჭირს—
თავმჯდომარედ ჰყავს მას სერგო....
ასე ფიქრობს დაღილინებს:
—აწ რა მიჭირს რაკი მერგო!?

ახლოა, ყოველ შემთხვევაში მოახლოვდება ჟამი, როცა ტარტაროზი ასე მოუმღერებს სერგოს:

გამსახლიდან იცქირება
თავმჯდომარე ჩვენი სერგო.
წარმოკავშირისა შექმა
ყელს დაადგა, არ შეერგო
და სანაცვლოთ ...წელიწადით
მას გამსახლში ყოფნა ერგო.

## „ალლაჰმა უწყის“

სად. მეტეხიდან გვწერენ:

„გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი: — დაიკარგა წყლის ქვაბი, რომელიც მეტეხიდან გაგზავნილ იყო ტფილისში. შუა ტანის, ფერად რუხი. საკმაოდ ხნიერი. მპოვნელს ვთხოვთ შეგვატყობინოს და საჩუქრად მიიღებს (თუ მეტეხელი იქნება) ნახევარ ვედრო წყალს... ამჟამად სად იმყოფება ალლაჰმა უწყის... ჩვენ კი უწყლობით ვიხრჩობით“

აი უბედურებაც და დახრჩობაც ამას ჰქვია. მეტეხში წყალი არ არის... წყალი ადამიანს ახრჩობს (მაგალითად მტკვარი. ნახეთ ჩვენი გაზეთების ქრონიკები). მაგრომ უწყლობაც ახრჩობს თურმე.

ტარტაროზი ამ გარემოებამ (მეტეხში უწყლობამ) მეტად დააფიქრა და შეუდგა დაკარგულ ქვაბის კვალის მიგნებას... ბოლოს აღმოჩენის საშუალება თვითონ წერილში ნახა. წერილში სწერია: „ამჟამად სად იმყოფება ალლაჰმა უწყის“-ო. ნახულია დაკარგული. რკინის გზის სადგურებში ძებნას, ჩვენის აზრით სჯობია ალლაჰთან



გაიგზავნოს კაცი და ჰკითხოს თუ სად იმყოფება ამჟამად ეს ქვაბი. ეს არის უმარტივესი საშუალება დაკარგულ ქვაბის ნახვისათვის. როცა ქვაბი ინახება, მერმე ადვილია დამნაშავისთვის მეტეხიდან მეტეხში გადაყვანა.

**შენიშვნა:** შესაძლებელია, რომ თვითონ ქვაბი მიიმალა და არ უნდა ისევ მეტეხში დაბრუნება, რადგან იქ ისევ უწყლობა მოელის.. ეხლა სადაც არის, ალბად, თავს კარგად გრძნობს და ყოველ დღე გალეშილია წყლით. მეძებრებმა ეს გარემოებაც უნდა მიიღონ მხედველობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარტაროზი

## შორაპანი

შორაპანის ნაქები
ქალაქი ძველთა-ძველადა,
სადაც ყვირილა ჩამოდის
იშლება თავ-ქვე ველადა.
აქ მრავალ საგულისხმოსა
გაიგებთ დამიჯერეთა,
თუ მეფარიანს ვეწვიოთ
ამთაჲით პირველ ჯერათა.
მეფარიანი ექიმი
ქორწილში, ლხინში ქებული.
დროს ტარებას და ქეიფში
არ არის გამოკლებული.
ქუთაისი აქვს ბინათა,
აქ სამსახური საკბილოთ,
ჰყვდებოდე ვერსად შეხვდები
თუნდ სიკვდილს შეეხმატკბი.
წავა, არ იცის დრო-ჟამი
მუშა კი უცდის ამაოდ,
ან ქორწილშია ან კიდევ
ქეიფში დილა-საღამოს.
ვინ მოსთვლის მისსა გასაჭირს:
რასაც რკინისგზელნი იწევენ,
მეფარიანის არ ყოფნით
ექიმს სიდან არ იწვევენ.
ხან ზესტაფონში უხდებათ
ჩასვლა—ექიმის ხვეწილი,
ხან კი საჩხერეს შეხვდებით
არიან გადახვეწილი.
ეძებენ ექიმს სანთლით და
მოჰყავთ აქ დიდის ხარჯებით
მეფარიანსა კი მაინც
ვერ ნახავთ დადარაჯებით.
საჭირო არის მოვექცეთ
ამ ამბავს ყურადღებითა.
და მეფარიონს ამოვსცხოთ
პანღური ხელადებითა:

**ჩქმეტი.**

## ლანირ-ქუტირი

ჩვენს ჯიხაიში
ამ პატარაში,
აღარ იკითხავთ
საქმეა რაში?!
მევახშეები
გვაძრობენ სულსა,—
არ ივიწყებენ
დროს გადასულსა.
ერთი თუმანზე
ორ მანეთს თვეში
ახდევინებენ
იახ! ჩვენს თემში.
აბზიანიძე
ცნობილი არის
მელიქო ჩვენი
ბაგე მლიმარი.
ასესხებს ფულებს,
ავსებს ქისასა,—
ითვისებს იგი
ასე სხვისასა.
...ჰო ასე იყოს
ეს არაფერი,
მას ეხერხება
სუყველაფერი...
სპეცია იგი
ქურდობაშიაც...
მინდა გიამბოთ
ქმე რაშია!?
ჩვენი გლეხობის
შემოსავალი
საადრიოა
კომბოსტო ფხალი.
ყველას აქვს იგი
დათესილია,
გამარგლილი და
გათოხნილია.
აგერ, სულ ახლა,
მელიკო ჩვენი,
(ვიცი არ არის
მისთვის საწყენი).
ჟავის რძალითურთ
აგრაფინათი,
(ჩვენი თემისა
ლამპარი, მნათი).
ნუცუბიძის ბაღს
ეწვია ორი,—
და თან წაიღეს
ათი გოდორი.
ბაღი გლეხს, საწყალს
გადაუთხარეს;
თვითონ ნაქურდლით
კი გაიხარეს.

**შიხლინსკი**
**სგოზ**

## გუგუნაყათი

არ იქნა—ვერ მოვითმინე,
მეცა დამჭირდა სტვირია.
ტარტაროზ შენი ჩანგლითა
უნდა გვესტუმრო, მჭირია.
ჩვენს სოფელ გუგუნაყათში
საქმე გვაქვს გასაჭირია,
რადგანაც კლუბის გამგესა
რკინისა ცოცხი სჭირია.
კლუბის მინები დაიმტვრა,
არვინ ათხოვა ყურია;
კიბეც სულ დანგრეულია,
ძირს ყრია ქვა აგურია.
თუ კი გველირსა საღამო,—
ცუდი ამბები ხდებაო.
ჩხუბი და აყალ-მაყალი,
თავებიც ბევრი ტყდებაო;
ყოველთვის ბნელა სცენაზე,
არ არის ჭრაქი, მკვარია,—
ერთი ძლივს ბჟუტავს კუთხეში—
და ისიც ნათხოვარია.
კლუბისა ეზო საძოვრად
ყოველ წელს ქირავდებაო.
ვთხოვ გამგეს, რომ გვიპასუხოს—
ფულები რას ხმარდებაო?
ტარტაროზ, კლუბის გამგესა
ერთი ჩანგალი ჩხვლიტეო;
და შემდეგ ჩამოერთმევა
მას ჩვენგნა კლუბის კლიტეო.

**გუგუნაყათელი.**

## ქუჩაში




— რა შვები შე მხეცო შენა.
— მამა გიცხონდა ამ სიცხეში არც კი გიამა!

# [illegible]

**ქურიეთელს:** თქვენი წერილი საგაზეთოა. ჩვენ არ გამოგვადგა. ფსევდონიმის გარდა საჭიროა წერილზე ავტორის სახელი, გვარი და მისამართი ეწეროს.

**სხვაველიშვილს:** სხვების რა მოგახსენოთ,—და თქვენ მაინც დასტკბით თქვენი შემოქმედებით, რომელიც ეხება ჭაჭის ღიპს:

**რა უყო, რა ვქნა ჩემთავად**
**მიშლის სიარულს ღიპია.**
**მართლაც რომ მოსასპობია**
**სულ ჩემისანა ტიპია.**
**მართლაც არ არის საჭირო,**
**რას ვარგა ჩემი ნძორია.**
**მე ადამიანს არ ვგევარ**
**და მუცელი მაქვს ღორია**

**ტარჩენისპირელს:** (სოხუმი): თუ სიკეთე შეგიძლია, სხვა მასალები მოგვაწოდე ადგილობრივ ცხოვრებიდან. ტერტერები აქაც ბევრია... მაგრამ მიცვალებულებზე ან კარგს იტყვიან, ან არაფერს. კარგი რა ითქმის ავზე.. და ამიტომაც ტარტაროზს არ აინტერესებს აქედან მანდ ჩამოსულ ტერტერის ამბავი

**კუზიანს:** ხომ გაგიგონიათ: **„კუზიანს საფლავი გაასწორებს“-ო?** ჩვენი გოდორიც საფლავია კუზიან წერილებისათვის... და თქვენი წერილიც ალბად იქ გასწორდება. სევერას სურათიც იქ დაიხატება და ქვეშ წააწერენ:

**სიძეა თვალის სინათლე,**
**წელს უმშვენებს ლევერია.**
**სატრფოს უთხრა:—გენაცვალე,**
**მოველ შენი სევერია.**

საქორწინოთ მომზადებულ კაცს **კოვზი ნაცარში ჩავარდნია**—საცოლოს უარი უთქვამს მისთვის,—თქვენ კი გამოდიხართ დადასცინით. სამაგიეროთ, ჩვენ ვიზიარებთ სევერას მწუხარებას და მიულოცავთ ცოლის შერთვისაგან გადარჩენას.

**ჭრიჭინას** (სამტრედია, ილორი): **გარსევან და სევერიანე,** რომლებმაც:

**მუდამ დღე გული წაილეს,**
**მათმა ყვირილმა, მუქარამ,**
**არავინ მიდის კრებაზე**
**ისე დააფრთხეს**

უფსკერო გოდორში ჩავამწყვდიეთ... ასე, რომ ამიერიდან კრებას ხელს არ შეუშლიან თავისი ყვირილით. იყვირონ რამდენიც უნდათ უფსკერო გოდორში, სადაც სხვებიც ყვირიან.

**რადიუმს:** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება იმიტომ, რომ იგი ხელმოუწერელია—არ არის თქვენი გვარი და სახელი

**„არ დამიტიროთ“-ს** (ქვ. მაჩხაანი): არ არის დასატირებელი როგორც თქვენი წერილი, ისე მისი გმირი ტერტერა-მღვდელი, რომელსაც სცემეს. სცემეს იმიტომ რომ:

**ქალი შეხვდა მას გზაში**
**და ლაებნა დავთარი.. .**
**ჯოხი ხეზე მიაბა,**
**ქალს ეცა ვით აფთარი.**
**დაიძახა ყიყლიყო,**
**შეაშინა ქალია...**
**ამ დროს ქმარმა მოუსწრო,**
**ვაი მისი ბრალია...**
**რაც მას სცემეს ზურგ-მკერდზე**
**ვინ დათვლის რამდენია!**
**პიონერთა ზარაბანს**
**მეტი არ მოხდენია**

**ოდალაქოს** (სად. მარელისი): არა უშავს ამ ზაფხულში წვერ-ულვაშ და თმის გაკრეჭა-გაპარსვას. ვილიკომ ამისათვის წინას მადლობაც უნდა უთხრას, რას ერჩის ლიზას—თავიც დაამშვენა ერთი ვედრო წყლის გადასხმით. (თუ კი წყალი იყო და არა სხვა).

**ჯილი-ჯილის:** თავადებს თავისი თავი და ცხოვრება მობეზრდათ,—და თქვენ რატომ არ მოგბეზრდათ მათზე წერა? ტარტაროზი თავადებს სანაგვე გოდორში აგზავნის და ნუ გეწყინებათ თუ კი თქვენი წერილი გაჰყვა თავის გმირებს.

**ჩოჩორაჯვაბს** (ხიდისთავი): წერილი გარკვეული ხელით და ცალ გვერდზე უნდა იწერებოდეს. ვინც ეს არ იცის, მას წერაც გაუჭირდება.

**სილოს.** „ოსეფას გასაჭირი“ მრავალჯერ ხმარებული თემაა. არ დაიბეჭდება. ხოლო **„კოწიე კინტრაძის მოგზაურობიდან“** მოგვყავს შემდეგი ადგილი:

**არ იქნა, ძმაო, და გადამეკიდა მთელი სოფელი. კრებაზე ამირჩიეს და თბილისში დელეგატად გამგზავნეს. ბევრი ვიყვირე:—არ მინდა დელეგატობა; კოოპერატივის გამგეთ ამირჩიეთ, ეს უფრო ხელსაყრელია ჩემთვის მეთქი, მაგრამ მაინც არ ჰქნეს.**
წერილის სხვა ნაწილი არ გამოგვადგა.

**ზაქ. კოხელს:** მოკლე ჭკუას მოკლე კაბა სჯობია. ასე, რომ ის ქალი თქვენზე უკეთესს ბიროზებშია.

**გაროს** (ბათომი): ტარტაროზმა უარი სთქვა თქვენს **„ბათომის თაიგული“-ს** მიღებაზე, რადგან მას ცუდი სუნი უდის.

**ჩაილულიძეს** (ოზურგეთი): თქვენ უსაყვედურებთ მუშათა კლუბის გამგეობას, რომ

**შესაფერი პიესა**
**იდგმებოდეს სცენაზე**
**და არ გადმოგვძახოდენ**
**რაღაც ქუჩურ ენაზე.**

ალბათ, თბილისის აკადემიას ჰბაძავენ.

**შალ-განს.** არა მარტო თქვენი,—ყველას ცოლი ასეთია:

**ხან ქერსე მთხოვა,**
**ხანაც კრემდიშინია.**
**როცა უარი უთხარი,**
**გამიწია ჟინია.**

და თქვენი წერილი საქმეს ვერ უშველის. პირიქით, ეგებ ზიანიც მოიტანოს მით, რომ თქვენი ცოლი ამ წერილზე გაგიჯავრდებათ და უფრო სასტიკ ნოტას წარმოადგენს.

თავი იმით ინუგეშეთ, რომ ყველა თქვენს დღეშია.

**„ცნობის-მოყვარეს“** (თელავი): წერილის დაწყებისთანავე გამოირკვა თქვენი წერილის ღირსება. თქვენი წერილი ასე იწყება:

**„რუსთაველის ნათქვამია ანდაზა: „თუ კაცსა სწავლა არა აქვს, გასტანჯავს წუთი სოფელი“.**

მართლაც რომ ასეა. ალბათ, თქვენც ამიტომაც ხართ „დატანჯული“, რომ არ გცოდნიათ, თუ ვის ეკუთვნის ზემოხსენებული „ანდაზა“.

**უჩა დამწერს:** თქვენი „სული და გული“ მოთავსებულია შესაფერ ალაგას.

**ეფიალტეს.** მიბაძვაა.

# სამი ვეშაპი, რომელზედაც სდგას ინგლისი



მაკდონალდი, ხიკსი და ჩან-ძო-ლინი: ჯერ-ჯერობით ჩვენ ვუმაგრებთ ძირს ბრიტანეთის ბატონ-პატრონთ, მაგრამ ჩვენც მოგვწყდება წელი,—რალა ეშველებათ მაშინ?!